

1. ჟურნალი "შრომები" არის ყოველწლიური აკადემიური რეცენზირებული (peer-reviewed) ჟურნალი, რომელსაც გამოსცემს ეროვნული თავდაცვის აკადემია.
2. ჟურნალის სამეცნიერო პოლიტიკას განსაზღვრავს რედაქცია და საგამომცემლო კოლეგია (მრჩეველთა საბჭო).
3. შერჩევის პროცესი გულისხმობს ორმაგ "ბრმა" რეცენზირებას (double-blind peer-review). სტატიის გამოქვეყნებაზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს რედაქცია.
4. ნაშრომების რეცენზირებისთვის გადაცემა მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირველადი სარედაქციო დასკვნა დაადასტურებს ტექსტის თავსებადობას "შრომების" აკადემიურ მოთხოვნებთან

ტექნიკური მოთხოვნები

1. ტიპური პუბლიკაცია არის ორიგინალური ნაშრომი, რომელიც ეხება თავდაცვისა და უსაფრთხოების აქტუალურ საკითხებს და წარმოადგენს დარგისთვის მნიშვნელოვან კონტრიბუციას. ტექსტის მინიმალური ზომა 4.000 სიტყვაა, ხოლო მაქსიმალური 12.000
2. განსახილველად მომზადებულ ტექსტს უნდა ახლდეს ანოტაცია ინგლისურ/ქართულ ენებზე, ავტორის (ების) საკონტაქტო ინფორმაცია და მოკლე ბიოგრაფია (ები).
3. გამოქვეყნებულ სტატიაზე საავტორო უფლებები ეკუთვნის ჟურნალს; ტექსტის ხელახალი გამოქვეყნება შესაძლებელია მხოლოდ რედაქციის წერილობითი ნებართვით.
4. "შრომების" რედაქცია პასუხს არ აგებს შესაძლო პლაგიატის შემთხვევებზე და ასეთის გამოვლენის შემთხვევაში მყისიერად შეწყვეტს შესაბამისი ტექსტის ავტორთან სამეცნიერო თანამშრომლობას.
5. თუ ტექსტი მომზადებულია კვლევითი პროექტის, სამეცნიერო კონფერენციის და სხვა სამეცნიერო ღონისძიების ფარგლებში, ავტორი ვალდებულია ორგანიზატორებთან გადაამოწმოს საავტორო კუთვნილება.

ციტირების ფორმა

ჟურნალი შრომების ციტირების სტილია ჩიკაგო (ნუმერაციით). ქართული ტექსტები უნდა მომზადდეს შემდეგი ფორმით:

	ქართული	ინგლისური
ფონტი	Sylfaen	Times New Roman
ტექსტის ზომა	12	11
დაშორება სტრიქონებს შორის	1.5	1.15
საზღვრები	2.5 - 3.0	2.5 - 3.0

ზოგადი ცნობარი:

ნუმერაცია ყოველი გვერდის დაბლა (footnotes) უნდა იყოს დანომრილი სასვენი ნიშნის შემდგომ. თუ წყარო პირველად არის მითითებული აუცილებელია მთლიანი ინფორმაციის წარმოდგენა, ყველა შემდგომი მითითებისას შესაძლებელია შემოკლებული ფორმის გამოყენება (იხ. ქვემოთ). მიუთითეთ ავტორთა სახელები, ისე, როგორც მოცემულია ორიგინალურ ტექსტებში. არ შეცალოთ სახელები და ინიციალები.

წიგნები - ერთი ავტორი

საბაზისო ფორმატი

პირველ შემთხვევაში:

X. ავტორის სახელი და გვარი, ტექსტის სათაური იტალიკით, (გამოცემის ქალაქი: გამომცემელი, წელი), გვერდი - სადაც აუცილებელია.

მეორე შემთხვევაში:

X. გვარი, სათაური შემოკლებული ფორმით, გვერდი - სადაც აუცილებელია.

იმ შემთხვევაში თუ ორჯერ ზედიზედ გამოიყენება ერთი და იგივე წყარო:

ქართულად:

X.იქვე, გვერდი, თუ განსხვავებულია წინა შემთხვევისგან.

ინგლისურად:

X.Ibid, გვერდი, თუ განსხვავებულია წინა შემთხვევისგან.

მაგალითები:

1. Kent Portney, *Taking Sustainable Cities Seriously* (Cambridge: MIT Press, 2003).
2. Ibid., 162.
3. David Harvey, *The Condition of Postmodernity: An Enquiry Into the Origins of Cultural Change* (New York: Blackwell, 1989), 197.
4. Robert O. Self, *American Babylon: Race and the Struggle for Postwar Oakland* (Princeton: Princeton Univ. Press, 2003).
5. Harvey, *The Condition of Postmodernity*, 86-87.

1. მიშელ უელბეკი, *სივოცხლის გაგრძელება და სხვა ტექსტები* (თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2013), 27

2. იქვე, 67.

3. ბრუნო ლატური, *არასოდეს ვყოფილვართ მოდერნულები სიმეტრიული ანთროპოლოგიის მცდელობა* (თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2014), 37.

4. მაო ძედუნი, *პარტიზანული ბრძოლა*, (თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2007) 45

5. ლატური, *არასოდეს ვყოფილვართ მოდერნულები*, 34

ბიბლიოგრაფია:

ავტორის გვარი, სახელი, სათაური, ქალაქი: გამომცემელი, წელი

Harvey, David. *The Condition of Postmodernity: An Enquiry Into the Origins of Cultural Change*. New York: Blackwell, 1989.

ლატური, ბრუნო. *არასოდეს ვყოფილვართ მოდერნულები სიმეტრიული ანთროპოლოგიის მცდელობა*. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2014

წიგნები რამდენიმე ავტორით

ორი ან სამი ავტორის შემთხვევაში, ჩამოთვალეთ ყველა წყაროში მითითებული რიგითობით. სამზე მეტი ავტორის შემთხვევაში, მიუთითეთ პირველი ავტორი და “სხვ.” [ქართ] “et al” [ENG]

X. სახელი გვარი და სახელი გვარი, *სათაური* (ქალაქი: გამომცემელი, თარიღი), გვერდი

X. სახელი გვარი და სხვა., *სათაური* (ქალაქი: გამომცემელი, თარიღი), გვერდი

იმავე წყაროების ყველა შემდგომი ციტირება ტექსტში:

X. გვარი სახელი და გვარი სახელი, *სათაური*, გვერდი

X. გვარი სახელი და სხვა., *სათაური*, გვერდი

მაგალითები:

1. Harriet Bulkeley and Michele M. Betsill, *Cities and Climate Change: Urban Sustainability and Global Environmental Governance* (London: Routledge, 2003), 25.
2. Randall Arendt et al., *Growing Greener: Putting Conservation into Local Plans and Ordinances* (Washington, DC: Island Press, 1999).
3. Bulkeley and Betsill, *Cities and Climate Change*, 27.
4. Arendt et al., *Growing Greener*.

1. ჰარიეტ ბაკლი და მიშელ მ. ბეტსილი, ქალაქები და კლიმატის ცვლილება: *ურბანული მდგრადობა და გლობალური მმართველობა* (ლონდონი: რუტლეჯი, 2003), 25.
2. პიტერ კაზენსტაინი და სხვ., *ეროვნული უსაფრთხოების კულტურა ნორმები და იდენტობა მსოფლიო პოლიტიკაში* (ნიუ იორკი: კოლუმბიის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1996).
3. ბაკლი და ბეტსილი, ქალაქები და კლიმატის ცვლილება, 27.
4. კაზენსტაინი და სხვ., *ეროვნული უსაფრთხოების კულტურა*.

ბიბლიოგრაფია:

ავტორის გვარი, სახელი, სათაური, ქალაქი: გამომცემელი, წელი

წიგნები: რედაქტირებული გამოცემები, ან თავი გამოცემაში

ზოგ შემთხვევაში აუცილებელია რედაქტირებული წიგნიდან კონკრეტული თავის მითითება, რომელსაც სხვა ავტორი (ები) ჰყავს. თუ მთელი წიგნის იდეაა წარმოდგენილი გამოიყენეთ რედაქტორის (ების) სახელები ისე, როგორც ჩვეულებრივ შემთხვევებში, მაგრამ სახელების შემდგომ გაუკეთეთ აღნიშვნა “რედ.” [ინგ. Ed] (იგივე ფორმის გამოყენება შეიძლება მთარგმნელის გამოყოფის დროს “თარგ.” [trans])

საბაზისო ფორმატი:

X. რედაქტორის სახელი და გვარი, რედ., *სათაური* (ქალაქი: გამომცემელი წელი), გვერდი, სადაც აუცილებელია

მაგალითად:

1. Warren Magnusson and Karena Shaw, eds., *A Political Space: Reading the Global Through Clayoquot Sound* (Minneapolis: Univ. of Minnesota Press, 2003).
2. Magnusson and Shaw, eds. *A Political Space*.

1. უორენ მაგნუსონი და კარენა შოუ, რედ., *პოლიტიკური სივრცე, გლობალურის კითხვა კლექოკუოტის ხმით* (მინეაპოლისი: მინესოტას უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003)

იმავე წყაროების ყველა შემდგომი ციტირება ტექსტში:

2. მაგნუსონი და შოუ, რედ. *პოლიტიკური სივრცე*.

ხშირად, აუცილებელია ციტირება კონკრეტული ესსეის, ან თავის რედაქტირებულ წიგნში. ამ შემთხვევაში მითითების ტექსტი უნდა შედგებოდეს, როგორც თავის სათაურის და ავტორის, ისე წიგნის სათაურის და რედაქტორებისაგან.

ფორმატი შემდეგია:

X. ავტორის სახელი და გვარი, “თავის სათაური,” იხ. წიგნის სათაური, რედ. რედაქტორის სახელი (ქალაქი: გამომცემელი, წელი), გვერდი სადაც აუცილებელია.

იმავე წყაროების ყველა შემდგომი ციტირება ტექსტში:

X. გვარი, თავის სათაური, გვერდი

მაგალითად:

3. Timothy W. Luke, "On the Political Economy of Clayoquot Sound," in *A Political Space: Reading the Global Through Clayoquot Sound*, ed. Warren Magnusson and Karena Shaw (Minneapolis: Univ. of Minnesota Press, 2003), 99.

4. Luke, "On the Political Economy of Clayoquot Sound," 101.

3. ტიმოთი ვ. ლიუკი, "კლეიკოტის ხმის პოლიტიკური ეკონომიის შესახებ," იხ. , *პოლიტიკური სივრცე, გლობალურის კითხვა კლეიკოტის ხმით*, რედ. უორენ მაგნუსონი და კარენა შოუ (მინეაპოლისი: მინესოტას უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003), 99

4. ლიუკი, "კლეიკოტის ხმის პოლიტიკური ეკონომიის შესახებ," 101

ბიბლიოგრაფია

საბაზისო ფორმატი:

რედაქტორის გვარი, სახელი, რედ. სათაური, ქალაქი: გამომცემელი, წელი

ან

ავტორის გვარი, სახელი. "თავის სათაური." იხ. წიგნის სათაური, რედაქტორი რედაქტორის სახელი, თავის გვერდები. ქალაქი: გამომცემელი, წელი.

მაგალითები:

Luke, Timothy W. "On the Political Economy of Clayoquot Sound." In *A Political Space: Reading the Global Through Clayoquot Sound*, edited by Warren Magnusson and Karena Shaw, 91-112. Minneapolis: Univ. of Minnesota Press, 2003.

Magnusson, Warren and Karena Shaw, eds. *A Political Space: Reading the Global Through Clayoquot Sound*. Minneapolis: Univ. of Minnesota Press, 2003.

ლიუკი, ტიმოთი ვ. "კლეიკოტის ხმის პოლიტიკური ეკონომიის შესახებ," იხ., *პოლიტიკური სივრცე, გლობალურის კითხვა კლეიკოტის ხმით*, რედაქტორი უორენ მაგნუსონი და კარენა შოუ, 91-112. მინეაპოლისი: მინესოტას უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003

მაგნუსონი, უორენი და კარენა შოუ, რედ. *პოლიტიკური სივრცე, გლობალურის კითხვა კლდეჭოტის ხმით*. მინეაპოლისი: მინესოტას უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003

ჟურნალის სტატიები

Basic format:

X. ავტორის სახელი და გვარი, "სტატიის სათაური," ჟურნალის სახელი, გამოცემა, ნომერი
ნ. No. (წელი): გვერდები.

იმავე წყაროების ყველა შემდგომი ციტირება ტექსტში:

X. გვარი, "სტატიის სათაური," გვერდი

მაგალითები:

1. Keith Dowding, "Explaining Urban Regimes," *International Journal of Urban and Regional Research* 25, no. 1 (2001): 12.
2. Marina Alberti, "Measuring Urban Sustainability," *Environmental Impact Assessment Review*, 1996, no. 16: 390.
3. Roger Keil, "Globalization Makes States: Perspectives of Local Governance in the Age of the World City," *Review of International Political Economy* 5, no. 4 (1998): 617.
4. Alberti, "Measuring Urban Sustainability," 391.

1. კეით დოუდინგი, "გავიგოთ ურბანული რეჟიმები," *ურბანული და რეგიონული კვლევების საერთაშორისო ჟურნალი* 25, ნ.1 (2001): 12

2. მარინა ალბერტი, "ურბანული მდგრადობის გაზომვა," *გარემოს გავლენის შეფასების მიმოხილვა*, 1996, ნ.16:390.

3. როჯერ კეილი, "გლობალიზაცია ქმნის სახელმწიფოებს: პერსპექტივები ადგილობრივ მართვაზე მსოფლიო ქალაქის ხანაში," *საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიის მიმოხილვა* 5, ნ.4 (1998): 617

4. ალბერტი, "ურბანული მდგრადობის გაზომვა," 391

შენიშვნა: ისევე როგორც ალბერტი-ს შემთხვევაში, თუ წელი ასევე წარმოადგენს გამოცემის ნომერს უნდა გამოიყოს შესაბამისად:

გვარი, სახელი, "სტატიის სათაური." ჟურნალის სახელწოდება გამოცემა, ნომერი ნ.
(წელი): გვერთა დიაპაზონი.

ბიბლიოგრაფია:

Alberti, Marina. "Measuring Urban Sustainability." *Environmental Impact Assessment Review*, 1996, no.16: 381-424.

Dowding, Keith. "Explaining Urban Regimes." *International Journal of Urban and Regional Research* 25, no. 1 (2001): 7-19.

ალბერტი, მარინა. "ურბანული მდგრადობის გაზომვა," *გარემოს გავლენის შეფასების მიმოხილვა*, 1996, ნ. 16: 381-424

დოუდინგი, კეით. "გავიგოთ ურბანული რეჟიმები," *ურბანული და რეგიონული კვლევების საერთაშორისო ჟურნალი* 25, ნ.1 (2001): 7-19

ვებ წყაროები

აუცილებელია გამოყენებულ იქნას მხოლოდ გადამოწმებადი ინტერნეტ-წყაროები. რედაქცია უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში არ მიიჩნიოს გამოყენებული ვებ-მასალა რელევანტურად.

იმ შემთხვევაში, თუ ონლაინ გამოცემას ასევე გააჩნია ბეჭდვითი ვერსია (ჟურნალის, ან გაზეთის სტატია და ა.შ) ან აქვს ცხადი ონლაინ გამოცემის თარიღი (როგორც ონლაინ ახალი ამბების წყაროებს), მითითებულ იქნება, როგორც ბეჭდვითი გამოცემა შესაბამისი URL-სა და წვდომის თარიღის დამატებით:

X. ავტორის სახელი გვარი, "სტატიის სათაური," ვებ გვერდის სახელწოდება. სპონსორი, ორიგინალური პუბლიკაციის თვე დღე, წელი, URL (წვდომის თვე დღე, წელი)

თუ საჭიროა მთლიანი ვებ-გვერდის მითითება, აუცილებელია საიტის სახელწოდებისა და სპონსორი ორგანიზაციის სახელის, პუბლიკაციის თარიღის, ან ბოლო განახლების დროის, URL-სა და წვდომის თარიღის მითითება.

X. ავტორის სახელი გვარი, ვებ საიტის სახელწოდება URL (წვდომის თვე დღე, წელი)

მაგალითები:

1. Keith Schneider, "Salt Lake City is Finding a Payoff in Conservation," *New York Times*, November 7, 2007,

<http://www.nytimes.com/2007/11/07/business/businessspecial3/07cities.html> (accessed November 14, 2007).

2. Seattle Chamber of Commerce, Seattle Metronatural,

<http://www.visitseattle.org/bureau/brand.asp> (accessed Mar. 16, 2008).

1. კეით შნაიდერი, "სოლტ ლეიკ სითი კონსერვაციის შედეგებს იმკის," ნიუ იორკ თაიმსი, ნოემბერი 7, 2007,

<http://www.nytimes.com/2007/11/07/business/businessspecial3/07cities.html> (accessed November 14, 2007).

2. სიეტლის კომერციის პალატა, სიეტლ მეტრონატურალი,

<http://www.visitseattle.org/bureau/brand.asp> (accessed Mar. 16, 2008).

ბიბლიოგრაფია:

გვარი, სახელი. "სტატისის სათაური." ვებ გვერდის სათაური, სპონსორი, ორიგინალური პუბლიკაციის თვე დღე, წელი. URL.(წვდომის თვე დღე, წელი)

ან

გვარი, სახელი. ვებ გვერდის სახელწოდება. URL.(წვდომის თვე დღე, წელი)

Schneider, Keith. "Salt Lake City is Finding a Payoff in Conservation." *New York Times*, November 7, 2007.

<http://www.nytimes.com/2007/11/07/business/businessspecial3/07cities.html> (accessed November 14, 2007).

Seattle Chamber of Commerce. Seattle Metronatural.

<http://www.visitseattle.org/bureau/brand.asp> (accessed Mar. 16, 2008).

შნაიდერი, კეით. "სოლტ ლეიკ სითი კონსერვაციის შედეგებს იმკის," ნიუ იორკ თაიმსი, ნოემბერი 7, 2007,

<http://www.nytimes.com/2007/11/07/business/businessspecial3/07cities.html> (accessed November 14, 2007).

სიეტლის კომერციის პალატა, სიეტლ მეტრონატურალი,

<http://www.visitseattle.org/bureau/brand.asp> (accessed Mar. 16, 2008).

სამართლებრივი წყაროები

კონსტიტუციების ციტირება:

კონსტიტუციები უნდა მიეთითოს სახელწოდების, მუხლის, სექციისა და პარაგრაფის თანმიმდევრობით (დამოკიდებულია რამდენად სპეციფიკურია ციტატა)

1. U.S. Constitution, art. 1, sec. 1.
2. Arizona Constitution, par. 3.
1. აშშ კონსტიტუცია, მუხლი 1, სექ. 1.2
2. არიზონას კონსტიტუცია, პარ.3

აქტების ციტირება:

ძირითად შემთხვევებში შესაძლებელია აქტის შესახებ მთლიანი ინფორმაციის მითითება ტექტობრივ ნაწილში და შესაბამისად, არ არის საჭირო მისი გვერდის ბოლოს

წარმოდგენა:

Congress's passage of the Aviation and Transportation Security Act of 2001 increased national requirements for airport security checks

კონგრესის პასაჟმა 2001 წლის ავიაციისა და ტრანსპორტის უსაფრთხოების შესახებ გაზარდა აეროპორტის უსაფრთხოების შემოწმების ნაციონალური მოთხოვნები.

სამთავრობო პუბლიკაციები

თუ სამთავრობო დოკუმენტს არ ჰყავს კონკრეტული ავტორი, მიუთითეთ სამსახურის სახელწოდება. ყველა სხვა შემთხვევაში გამოიყენეთ წესები დადგენილი ჟურნალებისა და წიგნებისთვის:

X. მთავრობის სახელწოდება, სამთავრობო სააგენტო, განყოფილება., პუბლიკაციის სათაური, თარიღი, პუბლიკაციის ნომერი, ანგარიშის ნომერი, ან პარლამენტის სესიის, გამოქვეყნების ადგილი: გამომცემელი, თარიღი, გვერდები

მაგალითები:

1. Department of the Treasury, Internal Revenue Service, *1978 Statistics of Income*, 1981, Pub. 79 (3-81), Washington, DC: Government Printing Office.

1. სახაზინო დეპარტამენტი, საგადასახადო სამსახური, *1987 წლის შემოსავლის სტატისტიკა*, 1981, დოკ. 79 (3-81), ვაშინგტონი, მთავრობის სტამბა